

39 /03 29.10.2020

შპს „ელექსირ გლობალი“-ს დირექტორს

ბატონ პაპუნა პაპიაშვილს

ბატონო პაპუნა,

2020 წლის 22 ოქტომბრის ხელშეკრულების საფუძველზე, სამეცნიერო- კვლევითი ფირმა „გამა“-ს საგამოცდო ლაბორატორიაში ჩატარდა კვლევითი სამუშაო, რომელიც ითვალისწინებდა სადებინფექციო ხსნარი „ ელექსირი,“-ს ანტიმიკრობული აქტივობის შესწავლას E. Coli-ის და Salmonella-ს მიკრობულ შტამებზე.

ექსპერიმენტში აღებული იქნა მიკრობული შტამები: E. coli ATCC 25922 და Salmonella typhimurium ATCC 14028.

ექსპერიმენტში აღებული თითოეული შტამის კონცენტრაცია- უჯრედების რაოდენობა 1 მლ სტერილურ ფიზიოლოგიურ ხსნარში შეადგენდა 10^5 . ექსპოზიციის დრო შეადგენდა 0,5 წთ-ს.

კულტივირება წარმოებდა შესაბამის საკვებ ნიადაგებზე:

1. E. coli - Chromogenic Coliform Agar ISO formulation;
2. Salmonella – EC Agar.

ინკუბირება მიმდინარეობდა 37°C ტემპერატურაზე 24 სთ-ს განმავლობაში.

მიკრობთა გაუვნებლობის შესწავლისას სადებინფექციო ხსნარი და მიკრობული სუსპენზია აღებულია ტოლი მოცულობებით, ექსპოზიციის დრო - 0,5 წთ.

მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილში №1 და ფოტოებზე.

ფინჯნების ფოტოზე დატანილი ციფრები აღნიშნავს:

1-კონტროლი; 2- სადებინფექციო ხსნარი „ ელექსირი,“-ს ზემოქმედება.

მიკროორგანიზმების შტამების დასახელება	კონტროლი	სადეზინფექციო ხსნარის 0,5 წთ ზემოქმედების შემდეგ
E coli ATCC 25922	10^5	0
Salmonella typhimurium ATCC 14028	10^5	0


დასკვნა: სადეზინფექციო ხსნარი „ელექსირი„ იწვევს E coli ATCC 25922 და Salmonella typhimurium ATCC 14028 შტამების დაღუპვას 0,5 წთ-ში.



სურათი 1. სადეზინფექციო ხსნარი „ელექსირი„

სურათი 2. სადეზინფექციო ხსნარი „ ელექსირი„-ს მოქმედება „E. coli ATCC 25922“-ის შტამზე

სურათი 3. სადეზინფექციო ხსნარი „ ელექსირი„-ს მოქმედება „Salmonella typhimurium ATCC 14028“-ის შტამზე



1-კონტროლი;
2- სადეზინფექციო ხსნარის ზემოქმედება E. coli -ის შტამზე.

1-კონტროლი;
2- სადეზინფექციო ხსნარის ზემოქმედება Salmonella -ს შტამზე.

ტ.ადამია
შპს სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“-ს
ვიცე-პრეზიდენტი

